ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 2925155001**
თარიღი:**04/06/2025**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' პუნქტის ,,დ.დ'' ქვეპუნქტის, 122 -ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 02 ივნისის N-28-282515380 წერილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N109 -ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.45.949) არსებული 27.18 კვ.მ. და 13.32 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს მოქალაქე მანანა ჯაილავას პ.ნ.21001011280.

მუხლი 2. 1 (ერთი) წლის გადასახდელი ქირავნობის თანხა განისაზღვრება: **1. 27,18კვ.მ. – 3400 ლარი;**

2. 13.32 კვ.მ. – 1500 ლარით.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM